



№ 14/50

29 11 2021 წ

ბრძანება

საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის 2008 წლის 24 ივლისის ბუნებრივი გაზის მიწოდების საქმიანობის დერეგულირების და ნაწილობრივ დერეგულირების შესახებ №73 ბრძანების და მომწოდებელი კომპანიის მიერ არასაყოფაცხოვრებო მომხმარებლებისთვის მისაწოდები ბუნებრივი გაზის ღირებულების, 1000 კუბ.მეტრზე 35 დოლარით გაზრდის გამო (საერთო ღირებულება 235 დოლარი)

ვბრძანებ

2022 წლის 1 იანვრიდან გაიზარდოს არასაყოფაცხოვრებო მომხმარებლებისთვის მისაწოდები ბუნებრივი გაზის ტარიფი. 1კუბურ მეტრი ბუნებრივი გაზის ღირებულება განისაზღვროს ერთი ლარით და თხუთმეტი თეთრით, დღგ-ს ჩათვლით. ხელშეკრულებით და სემეკის მიერ დადგენილი გადახდის ვადის გადაცილების შემთხვევაში კი ერთი ლარით და ოცი თეთრით, დღგ-ს ჩათვლით.

აღნიშნული ბრძანების შესახებ ინფორმაცია ეცნობოთ არასაყოფაცხოვრებო მომხმარებლებს. ბრძანება გამოქვეყნდეს საზოგადოების ოფისში და ვებ გვერდზე.

არასაყოფაცხოვრებო მომხმარებლებს გაეგზავნოთ შეტყობინება ახალი ხელშეკრულების გასაფორმებლად.

ს/ს „ენერგოკავშირი“-ს  
გენერალური დირექტორი

